



ცდუნება.

ნახ. ტ. პ. კვინსაკისა.

გატონიშვილს გული უწუხს

ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ვეღარ სძლებს!
უგვირგვინოდ ბაღში დადის, რჩეულს სევდა სძლევს.
სდუმს ხუმარაც. აღარ ამბობს იგავ-არაკებს...
თავს ყორანი დასტრიალებთ, შავი შავად ჰყევს!

ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ვეღარ სძლებს:
აგად არის დედოფალი, ფერმიხდილი წევს,
ჰგრძნობს, საყვარელს დაჰშორდება, ჩუმად ცრემლი სჩქევს!
და თან ესმის: შორს ყორანი თვალბედითა ჰყევს!..

ბატონიშვილს გული უწუხს, მარტო ვეღარ სძლებს!
სეფე ქალნი ქვითინებენ, ტირილი აქვთ რძლებს!
გლოვის ზარი ჩამორეკვს, თალხს აცმევენ ღერბს.
ბატონიშვილს აღარ სძინავს, გულხელ დაიკრევს...
ყორანი კვლავ დაყიადებს და ყარყუმ ჰყევს!

სანდრო შანშიაშვილი.

* *

სიყვარულო, სიზმარი ხარ...
სიზმარივით საკვირველი!
ხან სათნო ხარ, ღმერთზე დიდი,
ხან ბოროტი, საძაგელი!

სიყვარულო, სიზმარი ხარ,
სიზმარივით არეული.
ხან თვალში ხარ და ხან გულში...
აქაც, იქაც—გარეული!..

სიყვარულო, შენ ქალი ხარ,
ცბიერი და მატყუარა.
ვისაც ნახავ, გაუღიმებ,
სულ ერთია, გძულს თუ არა!

დ. კოპალი.

ბნის



ოცნება წყლის პირად.

თათრი ზამბახი

I

პირველად სიმფონიურს კონცერტზე მოჰკრა თვალი, ისიც ანტრაქტების დროს. როდესაც მალმი გასტერებულ მშელის უჩუქუნა თვალები შეაფეთა, ლელოს გააჟრჟოლა, ასე ეგონა, ვიღამაც უხილავ ხელით ნესტარი გულში გაუტარა. უნდოდა თვალი მოეზრდებინა, მაგრამ რაღაცა მანქანებით უცნაური ძალა მისკენა ჰხრიდა. ლამაზად შეფარგლული შავი აბრეშუმის თმა ეშხით სავსე და შემკრთალ მნათობსავით მოთინათინე კლასიკური სახე, ვარდის სინაზით ჰაეროვნად შეწითლებული ლოყები თუ ცოცხალი მოძრაობა აღფრთოვანებით იზიდავდა მის სულსა და გულს.

— რა ჰარმონიაა მის ნაკვთა ნაზი ტონებისა, — ჰფიქრობდა ლელო, — ძლივს ჩვენმა ქალებმაც შეიგნეს ევროპული გემოვნებით სინაზისა და მორთულობის ასეთი კეკლუცი შეფარდება!

მალის ნორჩობის სურნელი ისე ეფრქვეოდა, როგორც მანისობა დღეს პირველი სხივით გაფურჩხნილი ვარდის კოკორი. კეკლუცი ქსელით მოქსოვილი ნაზი გრაცია პირდაპირი ძახილი იყო სიცოცხლის მშვენიერებისა, რომლისთვისაც არავითარი ვუალი არ არსებობს, გარდა ერთი აღტაცებისა და ნეტარი სასიზმრო თრთოლვის.

— უთუოდ უნდა გავეცნო, დაეუახლოვდე, — გაიფიქრა ხელახლა ლელომ. მოხერხებულ მომენტის შერჩევას აპი-

რებდა, ის ის იყო, უნდა ამდგარიყო კიდეც, რომ ზარი დაჰკრეს და ყველამ თავთავის ადგილს მიაშურა.

მეორე განყოფილება იწყებოდა. ფარდის ახლისთან-ვე ლელო ბევრს ეცადა საყვარელ მუსიკით დამტკბარიყო, მაგრამ ამაოდ: მისთვის თვით წინა განყოფილების შთაბეჭდილებაც კი გაჰქრა. მხოლოდ „ანიტრას ცეკვამ“ გაიტაცა. გრიგის მუსიკის თილისმურ სიძლიერეს მხოლოდ ეხლა მ. ჰ. ხვდა ველურმა ხეობმა მალე ფენტასტიურს უდაბნოში გადასტყორცნის იგი. თავი რატომღაც პერგიურად წარმოუდგა. მის წინ ანიტრა საბუმის ფრთებითა სციკავდა. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ანიტრას მისთვის უცნობ დამტყვევებელ მალის სახე ჰქონდა, იმ განსხვავებით, რომ შეფარგლული კულულები ჩამოეშალა და მას, როგორც ბედუნთა მთავარს, აღარ აცლიდა ფაფარულული მერნით გაქოლოებას, თითქოს ცეკვისა და კოცის ქარიშხალით ჰსურდა მისთვის მერნობა გაეწია, რათა ფერაათა თავისი ბზის ჩრდილთა ქვეშ საკუთარ ნექტარის ალკოპოლით გაებრუვებინა იგი. სხვაფრავ ყოველ-ღერმა უჩინრად ჩაიარა: გაჰქრა ვახერის „ლოჰენგრინის“ მკვარცხლი პოპური, ლისტის რასპოდიებიც რასპოდიობას ვერა სწევდნენ, არც ბიზეს „მარგალიტის მაძიებელთა“ მშვენიერებამ — ნადირის კეკლუცმა არიამ გასკრა, რასაც იშვიათია ხალისით ასრულებდა გრძნობით სავსე ახალგაზრდა ტენორი ს — შვილი, რომელიც ის ის იყო მილანიდან დ-

ბრუნებულოყო და გვირგვინით იპკობდა შუბლსა; თვით მასნეს „ფედრას“ უფერტიურამ თუ „თაისის“ არიამ სარკესთან ლელოს სმენის გვერდს ჩაირბინა სულ შეუშინებლად; მოკვდა ოფენბახიც, ვერც მისი მუსიკა შეამჩნია პატარაობისას რომ ანდერსენის ზღაპრებსავით შეჰხაროდა ხოლმე. რუს კომპოზიტორებზე ხომ ლარა ითქმის რა. საზოგადოდ ლელოს რუსების ორიგინალობისა და თვით შემოქმედებისა არა სჯეროდა რა, როგორც მეცნიერებაში, ისე მუსიკაში მათ დასავლეთ ევროპის ან პამპულეზადა სთვლიდა ანდა კიდეც უსიტხვო მძაცველებად. უკანასკნელად მხოლოდ გლაზუნოვმა აუხილა თვალი და წინააღმდეგში დაარწმუნა, მაგრამ ამ დამეს ვერც მან გაანთავისუფლა მისი ტყვედ ქმნილი გონება, როგორც ჩაიკოვკის აღმოსავლეთურმა მელოდიებმა თუ სიმფონიურმა ლოცვამ.

საოცარი ის იყო, რომ ამ საღამოს მან თვით ქნი ელენე თ — შვილისაც ვერ შეამჩნია, ეს ის ელენე, რომლის სამშობლოში დაბრუნებას და ოპერაში პირველად გამოსვლას ასე აღტაცებით შეხვდა ლელო. ამ საბედისწერო საღამომდე ლელო მას გულწრფელად ეთაყვანებოდა, როგორც ერთგვარს სულის სანუკვარს დაიას. ასეთს გატაცებაში, ცოტა არ იყოს, პატრიოტული გრძნობებიც უწყობდა ხელს. მაგრამ საქმე ეს როდია: საზოგადოების დიდი თხოვნის შემდეგ, როდესაც ქნმა ელენემ პროგრამის გარეშე „ტრავიატადან“ რამდენიმე არაა შეა-

სრულა, მისი სოპრანო სრულიად შეუმჩნეველი დარჩა ლელოს, ეს იმ ლელოს, რომელმაც პირველ სარეცენზიო წერილში სხვათა შორის ეს სიტყვები სთქვა: „...ქნმა ელენე თ — შვილმა მოაჯადოვა ყველა დამსწრე. გრაციით სავსე, ოდნავი პათეტიური ნუნსებით და მომხიბვლელი ტემპრით შეხამებული სოპრანო, რასაც აღმოსავლეთურ ბგერის ანარეკლი ნაზ ტონებად შეხამებოდა და უცხო მუსიკას მშობლიურთან ანათესავებდა, თავდებს იძლევა, რომ მალე ჩვენ გვექნება საკუთარი ოპერა, იტალია საქართველოს გარდმოსცემს თავის პირველობის ბზის შტოებსაო.“ არა, ამ საღამოს ლელოსთვის აღარავინ არსებობდა, გარდა ანიტრა — მალისა, მისი ცეცხლფრქვევი თვალებისა, გიშრის წამწამთა ხავერდოვანი ხანხამისა და მისი სიტურფის ამაყი სითამამისა, რომელიც მთელს დარბაზის მბრძანებლობის კვერთხს ატრიალებდა.

ელექტრონის სინათლე თითქოს განგებ უღიზიანებდა ნერვებს. მისი თვალები გაფაცოცებით ჰაატრობდნენ მალის მხოლოდ ერთს შემოხედვას. ისიც ლანდსავით დათინათინებდა მისი გონიერის თვალის წინა. უნებურად თვალე მითლულულს წინ უდგებოდა მშვენიერი არაგების ოდნავ ანემიის მშვენიებით შეკანზმული მეტყველება. მისი პროფილი ნამდვილი მაომაილოს ნაკვეთი იყო, ლელოს შორეული აღერსით ჰკლავდა, უხილავ ფერის ფრთებით ეხვეოდა და საკოცნელად მოუხმობდა.



სხვა ცვლილებასთან ერთად, არაჩვეულებრივ შინაგანი თვალის მიხედვით. იგი მის კეკლუც სამოსის ქვეშ აშკარად სჭვრეტდა დამატებით სინარჩარს, მკრთოლად გრაცისა თუ თეთრ აშიათა თოვლით დაფარულ ნაკვთთა საამო ცეკვას ღიმილს. ლელო მხოლოდ შემდეგში მიჰხვდა, რომ აღნიშნულ შორის თურმე არსებობს უზენაესი თანდაყოლილი ძალა, რომელიც ნებისა და სურვილების დაუკითხავად ცეცხლის ძაფებით ჰქსოვს მათს გრძნობათა კუნწულა მტევენებს. უზომოდ სწყუროდა უბრალო ყვავილად ქვეუღიყო, რომ ამ მაცდურს ქალს ხელში ჩაჰპარდნოდა, რამდენიმე წუთით ჰღირსებოდა მისი ალერსი, ვარდს ვარდის სურნელება შეეფრქვია, ეყნოსა იგი და შემდეგ თუნდაც გადაეგდო, ფეხქვეშ ესრინა, იგი არასფერს ინაღვლიდა.

კონცერტი დასრულდა. საზოგადოება იშალა. ტაშის კვრით უფრო მომღერლებს აჯილდოვებდნენ, ვიდრე დამკვირვებთ. ერთმანეთში არეულებმა ბოლოს დაშლა დაიწყეს. ლელოც ადგომასთანავე უცნობ დამტყვევებელსკენ გაემართა. მალევე იგრძნო, რომ ლელო ცნობის მოყვარეობის ისრებს უზენს. წერწერა ტანს ალვის ხესავით მოარხევდა. პრაფილით განგებ გვერდზე იყურებოდა; ვითომც ჯერ არაფერი შემომჩნევიყო. ყარყარა ყელით ნამდვილი გედი იყო, რომელიც ჩასაფრებულ მონადირისკენ საბედისწეროთ მოჰფრენს.

— Pardon!

მობოდიშებისთანავე გაუღიმა მალში, მაგრამ ვიდრე თავგზა აბნეული ლელო სათანადო პასუხს ვაცემდა, ბრბოს ტალღა მათს შუა შეიჭრა და ერთი ერთმანეთს დააშორა.

ლელომ არა ჩვეულებრივი უზრდელობით ხან ვის გაჰკრა გვერდი და ხან ვის. უნდადა, მალი გაუცნობელი არ გაჰფრენოდა. ის-ის იყო კიდეც დაეწყო, რომ მალში მანტოს წამოსხმა გაათავა, კაპელდინერს პროგრამისა და პირფარეშობისთვის ვერცხლის ფული აჩუქა, კარებში ერთხელ მოიხედა უკან, შეამჩნია, რომ ლელო ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ ვითომც ვერ დაენახოს, პირი იბრუნა, თავი ამაყად დაიჭრა და პირველსავე ეტლს მიაშურა.

II

ნათრევ შემოდგომის ნელთბილი წვიმა ეუუუნებდა. მოელს ქალაქს ნისლი შემოსწოლოდა. ხელოვნურ განათებით დაბურულს ქუჩება მაცდური შუქი მწუხრი სახით ეფრებოდა. ლელო ნერვებ აშლილი მოდიოდა. ქუდი მოეხადნა. შიშველი თავი ხშირი ჟინჯლისთვის მიეშვირნა, რომ მით ჩეკრო უცნაურად ნასტუმრი აღმური, რომლია სახელწოდებაც არ უწყადა მისმა გამოუცდელმა ჰაბუქმა გოლმა — თვალებს ჰლულავდა. ერთგვარი ბურანის ნაზი ქსელი თავს ევლებოდა. მან არ უწყადა, იყო ეს სინამდვილე თუ მართლა ზღაპარი მოისმინა, რომლის მხეთუნახავს ჯვირანის სიტუროფით ჰოსავენ მომაკვდავნი და კეკლუც ფანტაზიის ნატებს შტოთი როგორც აჩენენ, ისე-ისე აქრობენ და გამოკანად აბარებენ ტურფა ხმანების კიდობანსა. მთელს თვის სიცოცხლეში ყველაზე ნაკლებ ქალბით იყო დაინტერესებული, თითქოს გზინოდა, ეკრძალებოდა მათს გაცნობას. ქალი მის-

თვის ყოველთვის საშიშროებას წარმოადგენდა, მაცდურს, უკეთეს შემთხვევაში — ფუქსავ ტობას, რიც მამაკაცის ღირსებას ანახევრებს, უმნარსოს ჰბდის. როგორც ამაყი ყრმა, პატარაობითვე ხელოვნების მოტრფილე, ფარულად ჰფურჩინდა თავის ნიჭსა, თითქოს რაღაც გრანდიოზულ რამის გამოფენას აბარებდა, რაც რომ უკვდავსა ჰყუდა მის სახელსა, მის პარონებას. ჩაზოვადობაში მან „მოუკარებელის“ სახელი დაიმახუა. ამაყობდა ამით, როგორც განდევილი თვისი განდევლობის სიდიადისა და უზენაეს დანიშნულების შეგონებით. ამ უეცრივმა შეხვედრამ კა ნამდვილი კატასტროფა მოახდინა რა იყო ეს, სიყვარული თუ სხვა რამე გრძნობა? — არ იცოდა, როგორც არ უწყადა ის, თუ რატომ სწყუროდა მის გაცნობა, ან რატომ „ანიტრას ცეკვამ“ გარდაჰქმნა მის ოცნებაში ეს უცნობი არსებობა მაცდურ ვნებებან ქალის სახედ? ლოცვა, იმედი, თუ ტირილი, ჩივილი ღმერთთან? ჰკრძნობდა, რომ მთელი მისი მომავალი, ბედი და უბედობა ახლა მხოლოდ ამ ერთს საკითხით უნდა გადაჰრილიყო. ამასი შეგნება, ცოტა არ იყოს, აშინებდა, მაგრამ იმავე დროს თავისკენ უცნაურ ხალისით ეწეოდა, როგორც უფსკრულის შავ ხელები მის ნაპარზე ძდგარს განწარულს სულს. უცნობი არსება ნამდვილ მშვენიერების პოემაღ გარდაიქმნა, რომლის პრველი ტაუბი მოითხოვა გულმოდგინებას, ტკობით სმენას, ეუუუნა თრობას. ერთი რამ აშინებდა ლელოს და ეს ერთიც გახლდათ ის, რომ სიყვარულის ხეივანში გასეირნების დროა ტრფიალების მეორანს საყვარელ არსების წინ არ ჩამოეგდო და სასაცალო არ გაეხადნა. ეს არც ისე მოულოდნელი იყო: მალისთან შეხვედრამდე სინამდვილეს და ცხოვრების მშვენიერებას მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურის წყალობით გაეცნო. მისი ფანტაზია ამ თხზულებათა წყალობით მთვარის ნოკტურნის სინაზით გაიფურჩნა. მისი გრძნობები კეთილშობილების აკვანში იყო სათუთად ნაზარდი, ამურის სულითა ჰსუნთქავდა და უცნობ სიყვარულის საუდუმლოთი ფანტატურს ქვეყნებში მიმოჰფრინავდა ამ ფარულს გრძნობებს ლელო მეტ წილად მუსიკაში გამოსთქვამდა, ან და მხატვრობით გადმოსკვამდა. მართალია, საზოგადოებას ჯერაც ერთი მისი ნაწარმოები არ ენახა. მაგრამ ყველა მოლოდინში იყო, სწამდ, რომ ლელო სიურპრიზით გააკვირვებდა მათ.

მხატვრობაში მისი იდეალი რაფაელი და მუილო იყო. კალში ტილოზე სიწმიდის გადმოტანა საკვირვებად მიაჩნდა. — სიწმინდე ცოდვილ კაცობრიობისთვის სანთლით საძებნელია, მისი პოენი მხოლოდ უმარლით მორთულობის შემდეგ თუ შეიძლება, რომ ასეთად გვეყვენოს, თორემ სხვაფრივ დიდი ხანია, რაც იგი დაიმარხა, სარკოვადებში ჩაიფერფლა და ათასი ზეთისა და სურნელის მოფრქვევაა საქირო, რომ მის ლეშიდან ამოვარდნილმა ხრწნილების სუნმა არ შეგვხაროსო, — უთქვია ხშირად. ამიტომაც კეკლუცი ფორნარინა, რაფაელის საყვარელი, უმწიკვლობის ქსოვილად მიაჩნდა, უმანკოების იდეალად, რომ მხატვარს მოდელია გაუქვია და კაცობრიობის

განწმენდას სახებად ჩაქებინა ღვთაებრივად მადონა. რაც მხატვრობაში რაფაელი იყო, იგივე გახლდათ მუსიკაში ღვთაებრივი ბაზი. ყოველთვის სცდილობდა მისთვის მიეძნა. და, მართლაც, რაც მალის დანახვამდე შეექმნა, ყოველს მის ნაწარმოებს სიწმიდის იერი გადაჰკვროდა. თუ მის პალიტრაზე ვერ ნახავდით ვერც ერთს ქარბს ფერადს, მუსიკაში ვერ იპოვნიდით ვერც ერთს ტონს, რასაც შეეძლო მელოდიაში რამე მღელვარება შეეტანა და ნაზი სტილი დაერღვია. შინ შესვლისას ლელო მოუსვენარმა წყვეტებამ შეიპყრო. თავი უხურდა. რუსთაველი გადაჰშალა. სხვა დროს იგი მისთვის მანუგეშებელი სახარება იყო სანიშნო ადგილები მოსძებნა, მაგრამ მის დასერილს ფიქრებს სასურველ მალამოდ ვერ მოეცხო. თითქოს რაღაცა აწხებდა. ადგა. მოღებრტზე ტილო გააწყო. ნახშირით უმიზნოდ რაღაცა კონტურები მოჰხაზა, მაგრამ მალე თავი მიანება. ეს მაინც ის არ იყო, რაც აღონებდა მის დაჭირლს სულს. ოთახში სიარულს მოჰყვა. შემდეგ როილს მიუჯდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს, აქაც უმიზნოდ ცოდვილებდა კლავიშებს. შოპენის ნარნარ ელეგიებს და შუშინის სონეტებს შეუბრტის სერენადებში ურევდა. შემდეგ არც თვითონ იცოდა რას უკრავდა. ქაოსი დაეუფლა. მის წინ ყოველისფერა აიოია, უკეფ, ჩამოიბურა. თვალები მ-ჰლულა, მოსწყდა, მოეშვა. მშობიარებამ წყუ ტანჯვა. როდის როდის უცნაურ მელოდიებმა იწყეს ჩქეფა დაჭირლმა სულმა კეკლუც შადრევანს მოჰხსნა მილი. კლავიში კლავიშს შეუთანხმდა. ცნაურებათა გამოცხადებამ იწყა სურნელის ჩამოკმევა. ფერიათა ბალადა თუ კეკლუცი ელფის სერენადა? მოკრთაღებუი ძხილი, ძიება, უცნაური წყევლა და იმე დროს უმანკო ბავშვის ლოცვა ერთმანეთში გადაიქსოვა ტონთა ნაზი ლეჩაქის ტალღით. ყველა ეს ერთის მოქრეთ მოსწყდა კლავიშს, როგორც პრელიუდია, წინასწარი გაფრთხილება თუ მომზადება მძიმე პაუზამ კეკლუც მელოდიის დასაწყისის ნაზი მისცა. და, მართლაც, მალე მიწნელებული აკომპანამენტით ქალწულის ვედობამ იწყა ფურჩვნა. მწუხრმა და ცქრიალა მელოდიამ თანდათან გარკვეული სხე მიიღო. რამდენიმე ფორტიო ზედი ზედ განმეორებული ნაზი მუქარა, როგორც შეჰფერის ახლად შეყვარებულს ქალწულს მაცდური სატრფოს დასასჯელად, ბოლოს კივილად გარდაიქცა. უნუგეშობამ იჩინა თავი. რაღაც სასოწარკვეთილების ობოლი ხმა დაჭირლ ორბის ყივილს მოგაგონებდათ. ახალი პაუზა მოჰყვა, თუმცა მცირე ხნით, თითქოს უცდის მოქანცულ სულმა დაისვენოსო. მართლაც, იგივე ხმა, უკანაკნელ ძალღონეს მოკრებით ექსტატურად შენაგარდა ღრუბლებისაკენ, მაგრამ ბოლომთუდევნებლივ მოსწყდა, თავბრუ დასხმული კვავ ბურუსში გამოეხვია და როდის როდის მოჰყვა ათრთოღებულ მაგდალინელის ლოცვას, შენანების ცრემლებით მთლად განიბანა ცოდვებისგან და სხივმოილი ჩაიკარვა მსოფლიო გამოკანათა მშვენიერების სამეფოში.

ლელოსთვის ამ დროს აღარა არსებობდა რა გარდა ერთი გრძნობათა

ბურუსისა და მის იერზე გაქრული მშვენიერ არსების თეთრი გვირგვინი და მომღიმარ მეტყულებისა, უცნაურს წალკოტში რომ ეპატრებოდა სასიერნოდ. მისთვის როილიც თითქმის ცოცხალ არსებად გარდაიქცა მის სულთან ტკილად სასაუბროდ. აკკორდი დასდუმდა. ლელოს მოწყვეტილი თითები კლავიშებზე შერჩა. ნახევრად მიძინებული თითქოს გამორკვევას აღარ ჰლომობდა. როდის-როდის და აღწია თავი ნეტარს სიმთვრალეს. მითრთოლვარე ხელი ნოტების ქალღღს წაატნა. სამიოდ საათით თავაუღებლივ სწერდა. ნერვიულად მოგოგმანე მექანიკური კალამი შავს წერტილებს სწრაფად სწერდა. ათასში ერთხელ თუ შეაშფოთბდა როილის კლავიშებს, ისიც დანაწერის შესამოწმებლად, თორემ სხვაფრივ მისი ხელი არ გაჰშორებია კალამს. როდესაც წერვა გაათავა და თავიდან ბოლომდე უკანასკნელად შეამოწმა როილზე, ლელო შეჰკრთა: თვითელს ტონში შოპენის ნოკტიურნთა ვნებიანი ყვავილები შეჰნიშნა. ლელო გაჰშრა, შემდეგ გაანჩხლდა და ნაწერი მოუფქვრებლად გადაჰხია, როგორც მუსიკალური სისულელე. სანათი ჩააქრო. გაუხდელად ლოგინზე მიწვა. თავქვეშ ხელები ამოიღო და გულდაწყვეტით მოჰყვა წუხილს:

— დავმარცხდი, დავმარცხდი... ეხლა აღარა იქნება რა...

მღელვარება მხოლოდ განთიადმა შეუწელა. რაღაც ორიოდ საათით ჩაეძინა. წამოდგომისას გაბრუებული იყო. სულ არ ახაოვდა რა გადაჰხდა. რაღაც საძაგელ სიზმრად ეჩვენებოდა ბუნდოვანად გახსენებული სურათები. გადახეულ ნოტების დანახვამ ყოველისფერი გაახსენა. წამოხტა. თითქმის უნებურად წამოჰკრიბა. განიყორა. აღმოჩნდა, რომ დაწუნებული სერენადა მეტად ტკილს და კეკლუცი მელოდიებს შეიცავდა, და თუ რომ ღირსება ჰქონდა, სწორედ იმითომ, რომ შიგ ჩაქსოვილი იყო გულწრფელი ვნების ჩუქურთმით შემკული მშვენიერება.

პირველმავე აკკორდმა აღტაცებაში მოიყვანა. ახლა წარმართობამ გაიმარჯვა ქრისტიანობაზე. მისთვის ვენერა იყო საჭირო თავისი ოქროს ნაწნავებით და არა ცეცილია — ბეატრიჩე. უეცრივ სრულიად ახალი ქვეყანა გადაეშალა. თვით მადონას უბიწოებაშიც კი ექვი შეიტანა.

— არა, აქ რაღაცა საიდუმლო იფარება. მადონა და უბიწოება? თუ ეს ასეა, რას ნიშნავს, რომ მის ზღვ, დამესავით ჩაქუნაპეტებული თვალები მთელს საშვალო საუკუნის მსახური ისე ათრთოლებდა, როგორც სილამაზით განთქმული ახალგაზრდა ქვირივი თავმომწონე რანინდ ბიჭებსა?

თვალის გადავლებით გაიხსენა მთელი იმ დროინდელი ვახანალია, რომლის ფერხულში ჩაბმულიყვენ ჩეზარე ბორჯია, პაპა ალექსანდრე თუ ათასი მწიბრი — მორჩილი, რომელთა გულის თქმის ერთი გახსენებაც კი თვით ისტორიასაც სირცხვილით სწვავს, ორთავ ხელით თვალს აფარავინებს!

— მადონამ თვით გენიოსი ავაზაკებიც კი შეჰქმნა ამ პაპების სახით, მაშასადამე, მას რაღაც საიდუმლო თილისმა უნდა ჰქონდეს.

დასაწმუნებლად თუ ამ თილისმის აღმოხაჩენად მაგიდადან გადაიღო



ლუგრის, ანტეგრპენისა, მილანისა, მიუნხენისა თუ ვენეცია-ფლორენციის მუზეუმთა ალბუმები და გრაფიურები. აი, ანტეგრპენის გალერეათა სამკაული ჟან ფუკეს მიერ შესრულებული მადონა ბავშვით. ლელომ სწრაფად გაიხსენა ისტორია ამ სურათისა, რომლის მოდელად მხატვარს აგნესა სორელი ჰყავდა, ქალი ყოვლად ვენებიანი სიტურფით აღსავსე, ქალთა მეფე, ანუ, როგორც იმ დროინდელნი ამბობდნენ, la belle des belles! ლელომ გულიანად გადიხარხარმ. ათასჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალა სურათი.

— მშენიერია, მშენიერი... უმანკო... ისეთი უმანკო, როგორც ანტონიუსის მკლავზე დამთვრალი კლეოპატრა...

მის ირონიას საზღვარი არა ჰქონდა. მართლაც, მხატვარს მშენიერებად არა მადონას უმანკობა მოექსოვნა, არამედ მისი ტურფა გულმკრდის დასრულებული კონტურები, ფარულად ქარვასავით რომ დაჰკრთოდა ეროსის ჩაუქრობელი აღმურო. ციურ დედოფლის ნაცვლად ლელოს ხელთ შერჩა ქალი, როგორც

თრობისა და ტკბობის ჭურჭელი, როგორც მაცდური ქვრივი, რომლის სფერო ერთად ერთ წალოთი იფარგლებს.

ლელომ ხარხარი შეჩერა, გრძობათა ბურუსში გაეხვია და ზედი-ზედ რამდენიმე სურათი კიდევ გადაჰშალა. აგერ ეს შენანებული მადლინე, რომელიც ყოველისფერზე გეუბნებათ, ოღონდ შენანების ცრემლებზე კი არა, მისთვის ისევ საწოლის მშენიერებაა ყოველისფერის შემეცნება, ამაყობაა სწორედ, რომ დაჩოქილი მაცხოვარს თითქოს სასყიდლად სთავაზობს არა მარტო გულს, არამედ სავსე მკერდსაც და გველსავით მოქნილს სხეულსა. აი ეს მეორე მადონაც. სანდრო ბოტიჩელის კალამს ეკუთვნის იგი. აქაც ხომ უფრო მხატვრის საყვარელ სიმონეტის გულ-მკერდის სიდიადეზეა ლაპარაკი, ვიდრე მართლა ღვთისმშობლის სიწმინდეზე! ასეთი სათნოიანი და იმავე დროს ასე მაცდური მეტყველება ლელოს მანამდე არ ენახა. რუბენის ნაწარმოებთა კოლექციამ ხომ მთლად გადაჰრია: წმინდნები, მეომარნი, თვით ჯვარცმულის გბრშემო შეკრებილი დამწუხრებული დედა

თუ იერუსალიმელი ქალწული, პირუტყვი და ნცენარენიცი ერთხმად ხორციელობას უკმედნენ გუნდრუქს. მადონებში იგი ჰხედავდა გენიოს მხატვრის მეუღლე ფერმენს და მის დასუსანას, ორთავე ხორციელნი გარდაშლილ გულმკერდით ვენების ალთა რკოლებს ისვროდნენ, უდოლომატო წარმართობის კოცონის დასანთობად. აი სანიმუშოდ სათნოებით სავსე ანჯელიკაც, რომლის სიწმინდეს უბედური მწირი მეუღაბნოე, განდევნობით ვნება ჩაკლულს ნერწყვის შადრევანი მოუხსნია და მთრთოლვარე მას ეპარება.

— მაშ ესაა სიწმიდე?—კითხულობდა ეს მეათაჯერ ლელო. აკვირდებოდა თვითეულს მათგანს, როგორც ვნების დიდებულს ტაძარს, რომლის გარშემო ვარდფენილიანს ხეივანში მოსეირნობდნენ ხელოვნების ამდენი ქურუმნი რათა ყველას ერთგვარი მღვდელმსახურება შეესრულებინათ ეროსის უხილავ ქანდაკისთვის.

— სად მეძანა, სად? წაჩურჩულა ლელომ და თითქოს ბურანიდან გამოსულმა ხელახლად კლავიშებს დაჰკრა მთრთოლვარე თი-

თებს ნეტარებით აგოგნებდა ანჯელიკილი ახალი გზა ვერდის ქიქიქი ეპატიუბოდა. ისე ეჩვენებოდა თითთქოს მალიც ცისკრის ზოლად თავს ევლებოდა და სიყვარულით შესციცინათელებდა მის მღვდვარე, მოქანცულს თვალებს.

— თეთრი ზამბახი გიშრის ვახაში... ეს შენა ხარ, შენ, ჩემო საიდუმლო ნეტარებაგ...

შესრუტულვებდა ნახად მომკრთალ ლანდს:

— მადონას ფარული ვნება უმან ომშენიერების ელვარებით სხიერესად მოველნოს მადლიანს შენს შრიალს, შენს ვერცხლის თასის სინარნარეს!


მისი მიბნედილი თვალები არ ჰშორდებოდა ათრთოლვულს ლანდს. ათას იმედის კეკლუც ოცნებამ ფრთა გაჰშალა, ავიშრებულს ვახის მჭვირვალე სამოსში გამომკრთალი მალის ლანდი, მართლაც, ზამბახად ირხეოდა. ეხლაც იგი ისეთივე ნაზი, ჰაეროვანი და მიმზიდველი იყო, როგორც საბედისწერო კონცერტის დროს.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ზავის გარუმეო.

ზავი ცოლ-მართ შორის.



გიორგი სვანიძე. ახალგაზრდა მუსიკოსი.

ჰეს გ სვანიძისა. ზო-მ-ა-ნ-ს. შენ ჰქვია სახე? დიუნა სანძის

Handwritten musical score with lyrics in Georgian. The lyrics include: "შენ ჰქვია სახე? დიუნა სანძის", "შენ ჰქვია სახე? დიუნა სანძის", "შენ ჰქვია სახე? დიუნა სანძის".



ბედმან ჰალვევი და ვილჰელმი: — რა დაგაბარეს, ჩვენო მტრედო? ზავს აპირობენ? — ზედაც კი არ შეშინებდე! ; მაშინვე მიცნეს.



ჩვენს შორის ზავი შეიძლება ერთის პირობით: ეკვიანობაზე ხელი უნდა აილო.

ზავი ოჯახში.



დღელამე გარედ დასწანწალე, ეხლა ზავს ითხოვ?! აჰ, პასუხ-?!